ყოველ-კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 21 1920 წ. ორშაბათი, გიორგობისთვის 8-ს, წელიწადი პირველი № 21

ფასი 10 მან.

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება, სიტყვა კაზმული მწერლობა და სხვა.

,,სასოფლო გაზეთში''

მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. —— გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო № 10 მან. —— კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპ. № 11, გაზეთ. ,,საქართველო'' ს ბინაზე.

მკვდრები სდგებიან.

ევროპის სახელმწიფო კაცებმა ოსმალეთის იმპერიას ,,ავადმყოფი კაცი'' უწოდეს.

უკანასკნელ საერთაშორისო ომში ეს ,,ავადმყოფი კაცი'' მთელი თავისი სულიერი და ნივთიერი კულტურით ჩაერია და დიდი აქლემების საბედისწერო ქსდილში ისედაც დაზიანებული ხერხემალი შუაზე გადაიმტვრია. ოსმალეთის სამუდამოდ დამარცხების ნიშნად, გამარჯვებულმა ევროპამ ამ რამოდენიმე თვის წინად სერვის ცნობილი ხელშეკრულება დასწერა და ოსმალეთი გააძევა არა მარტო ევროპიდან, არამედ თავისი სამშობლოს ზოგიერთ საზღვრებიდანაც.

საბერძნეთის გაზეთები სერვის ხელშეკრულების გამო სწერდნენ:

ავადმყოფი კაცი მოკვდაო.

ასე ეგონა სხვებსაც, ასე ვფიქრობდით ჩვენცა, მაგრამ სტამბოლში დაკრძალული სულთნები ანატოლიაში ადგნენ მუსტაფა ქიამალ ფაშის სახით.

გაცოცხლებული მკვდრები თუ საშინელი მოჩვენება, უფრო საშიშია ნახევრად ცოცხალ მკვდარი რუსეთი, რომელსაც ერთერთ ბრესტლიტოვსკში აუგეს წესი, მეორედ რიგაში და რომელიც დღეს უკანასკნელად ებრძვის სახელმწიფოებრივი სულისა და სხეულის გაყრას.

ეს ორი, ოდესღაც ერთიმეორის გამანადგურებული ძალა, დღეს ქიამალ ფაშისა და ლენინის დროშის ქვეშ შეერთდა.

ორივენი საოცარის სისწრაფით მოიჩქარიან უფრო მჭიდრო კავშირის შესაქმნელად;

არსებითად ესაა შურისძიება ევროპისადმი, მაგრამ გზადაგზა ამ ბარბაროსული ძალების მუშტი ამიერკავკასიის რესპუბლიკებსაც ემუქრება.

ქართველი დემოკრატია კარგად იცნობს რუსეთსაც და ოსმალეთსაც; განსაკუთრებით ოსმალეთთან ჩვენ გვაქვს რამოდენიმე საუკუნის რაინდული ისტორია; არც ერთს მტერს არ შეუძლიან თანამედროვე ქართველ დემოკრატიაში გამოიწვიოს სამშობლოსათვის თავგანწირულ წინაპართა სულები ისე, როგორც მუსლიმანურ ლაშქარს; ესაა საწინდარი ჩვენი გამარჯვებისა და ყარსის დაცემის შემდეგ ჩვენი ხალხის სხეულში დაკუმშული ძარღვები იმდენჯერ გადატრიალდებიან, რამდენი ბრწყინვალე ომიც ოსმალეთის ურდოებთან გვქონია.

ჩვენი მცირე რიცხოვანი, მაგრამ უტეხი ლაშქარი ერთჯერ კიდევ შეისხავს აზიისთვის ნაცნობ მუზარადსა და ჩაჩქანს და სამშობლოს მთლიანობის ცეცხლით აელვარებული შევა თავის საყვარელ ლაზისტანში.

ეს იქნება ღვთაებრივი შეხვედრა საუკუნოებით ერთმეორეს დაცილებული ძმებისა, ეს იქნება საქართველოს უზენაესი ნებისყოფის გამოაშკარავება.

რესპუბლიკის მთავრობის საქვეყნო ვალია, დღე და ღამ იმის ფიქრსა და იმის ზრუნვაში იქმნეს, რომ ჩვენს ერში მოჭარბებული სისხლის, რაც შეიძლება მეტი სივრცე მიეცეს.

ჩრდილოეთით აჯანყებული მთა და და ბოლშევიკური რუსეთი, სამხრეთით ველური ოსმალეთი, დასავლეთით საბედისწერო შავი ზღვა და აღმოსავლეთით უპატრონო აზერბეიჯანი,—ჩვენს რესპუბლიკას შუა ზღვაში მდებარე კუნძულის მდგომარეობაში აყენებს, და პირველი გზა რომელიც სამშვიდობოში გაგვიყვანს ესაა სომხეთის გზა.

ქართველ ერს სიცოცხლე სწყურია უფრო მარადიული ვიდრე რომელიმე ძველ ღმერთებსა და სიცოცხლის დამკვიდრება რომ ბრძოლას მოითხოვს ამაში არავინაა ისე დარწმუნებული როგორც „მოდი ვნახოთ ვენახის“ შექმნელი ხალხი.

ქიამილ ფაშის სახით ქართველ ლაშქარს საქმე ექნება აზიის მკვდარ სულებთან, რომელიც ნაქურდალ სიმდიდრით გაამაყებულ ბოლშევიკებისკენ მიისწრაფიან და ქართველი დემოკრატია ათას მეორეჯერ შეასრულებს დიდ ისტორიულ საქმეს, თუ ამ ორ ძალას შუა დღესაც ჩინეთის კედელს აიყვანს.

სამშობლოს ძლიერება.

დღეს კვლავ ლაპარაკობენ ჩვენ სამშობლოს საფრთხეზე, აქა იქ გაისმის ხმა რომ ჩვენი სამშობლოს გაჭირვების წინა სდგას და მის თავისუფლებას შელახვა მოელისო.

აზიის შუა გულიდან გათამამებული მტერი ქემალ ფაშა წამოვიდაო...

მისი ურდოები რატომ არ იქნება გათამამებული, როდესაც ჯერ გზათ არ შეხვედრია ისეთი ჯარი, რომელაც სამშობლოს ღრმა სიყვარული გულში უღვიოდეს, მის დიდებისათვის გული უცემდეს.

მაგრამ როდის არ ყოფილა ჩვენი სამშობლო ასეთ საფრთხის წინაშე.

თუნდ ნუ მოვიგონებთ წარსულ ისტორიას, წარსულ ამბებს, რაც გადახდენია თავს ჩვენ ერს და თვალი გადავავლოთ ჩვენი ცხოვრების ახლო წარსულს ამ რამდენიმე წლის ამბებს.

ბევრჯელ წამოსულა მტერი ჩვენს წინააღმდეგ, ბევრჯელ დაგვცემია თავს მოულოდნელად, მაგრამ ჩვენი ჯარი ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა, ჩვენ ჯარს ყოველთვის თამამად დაუძახია ,,საქართველო აღზრდა მკვდრეთითო'' და დაუგუგუნია თავისუფლების სიმღერა, გმირული სულით სავსე და მკვეთრი.

ვის არ ახსოვს სამასი ქართლელი მტრის მურაცხელი ურდოების წინ ნატანების მიდამოებში.

ეს იყო განმეორება სამასი არაგველისა კრწანის ველზე.

არ იყო ხანგრძლივი ეს შეტევა მაგრამ იგი იყო გმირობით სავსე და თავისუფლებისათვის თავდადების სურვილით აღტყინებული.

ან ქიზიყელთა დაურიდებლობა ყველგან და ყოველ ბრძოლაში.

ყველა კუთხე საქარველოსი ამაყად იცავდა სამშობლოს დიდებას, ყველანი ერთად, ყველა ერთი მიზნისთვის.

აი აქ არის ძლიერი ჩვენი სამშობლო, აქ არის მისი სიმტკიცე.

მისი სული უდრეკია, ძლიერია სიყვარული სამშობლოსადმი და აქ არის ხსნა მისი და ყოველთვის დამარცხება მტრისა

ცოტანი ვართ?

მაგრამ: ცოტა ვართ, მაგრამ კარგი ვართ.

ვინცა ვართ ყველა მდევია,
ბევრჯელ უნახავს ქართლის მტერს
რომ ცოტაც ბევრი მძლევია.

ეს ვიცით ჩვენც და უნდა იცოდეს ჩვენმა მტერმაც.

გერმანია და საქართველო.

ამ კვირაში ცნობა მოვიდა გერმანიიდან, რომ გერმანიის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო იურიდიულად. ამ ღირს შესანიშნავ ამბის შესახებ გაზეთი ,,საქართველო'' შემდეგსა სწერს:

გერმანიის განცხადება ჩვენთვის ძვირფასია თუნდ იმიტომაც, რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პირველ დღიდანვე მზრუნველი ხელი არ მოაკლო განთავისუფლებულ ქართველობას და მთელი სახელმწიფოებრივი საშუალებით ეხმარებოდა მას სახელმწიფოს აშენების მკვიდრ საფუძვლის ჩაყრაში.

შემდეგ იგონებს იმ მძიმე დროს და გაჭირვებას ჩვენ სამშობლოსას როდესაც გერმანელები პირველად მოვიდნენ და განაგრძობს.

ქართველობა ვერ დაივიწყებს იმ დროს აქ მყოფ გერმანელ სარდლობისა და საზოგადოთ ჯარის მოღვაწეობას. გერმანელებმა ისეთი ამაგი დასდეს ქართველ ერს, რომელიც არ წარიხოცება მის გულიდან არას დროს და შთამომავლობას გარდაეცემა, ვითარცა სამაგალითო ნიმუში პატიოსნებისა და უღრესი გულწრფელობისა. გერმანელებმა პირველებმა ფაქტიურად ამოხაზეს ჩვენი სახელმწიფოებრივი საზღვრები და სამაგალითო აქტივობა გამოიჩინეს მის გაფართოების პროცესში საქართველოს ისტორიულ, ეკონომიურ-გეოგრაფიულ და სტრატეგიულ ინტერესების მიხედვით. გერმანიის სარდლობა სამართლიანად დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები არსებითად მინიმალური იყო და სავსებით ემყარებოდა მისთვის მინიჭებულ უფლებრივ ნორმებს.

განა ქართველ ხალხის მეხსიერებიდან ოდესმე ამოიშლება ის ფაქტი, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს შესამუსრავად მრისხანედ მოიწევდა გერმანიის ოფიციალური მოკავშირე, მისი თანამებრძოლე ბრწყინვალე პორტა, რომლის ჯარები ჩვენს დედაქალაქს ემუქრებოდენ,—გერმანიის სარდლობამ რეალური მფარველობა აღმოუჩინა საქართველოს და კატეგორიული ბრძანებით შეაჩერა გათამამებული ოსმალეთი!

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ხოლოდ გერმანიის ჯარები ფაქტიურად იცავდნენ იმ ძნელ დროის საქართველოს მიწა-წყალს! მათი მეოხებით შევძელით შეგვექმნა რეგულიარული მილიტარული ძალა, მოგვეწყო სახელმწიფოებრივი ნორმები და განგვემტკიცებინა მართვა-გამგეობის აპარატი...

ვიმეორებთ, ყველა ესენი ღრმად ჩამარხულია ქართველობის გულში!

სამადლობელი გრძნობებით აღვსილი ქართველი ხალხი სათანადო ყურადღებით მოისმენს უდიდესი მნიშვნელობის ამბავს, რომ ევროპის ცივილიზაციის წარმომადგენელმა საჯაროდ სცნო საქართველოს პოლიტიკურ მიღწევათა სრული კანონიერება და ამით ღირსეულად დააგვირგვინა ის მოღვაწეობა თავისი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო აღმშენებლობისათვის ესოდენი სარგებლობა მოიცა!

როგორიც უნდა იყოს გერმანიის მდგომარეობა დღეს ერთი რამ ცხადია ჩვენთვის: მისი მძლავრი კულტურა შემდეგშიაც მისაბაძი იქნება ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთათვის, მისი ცივილიზაცია და მეცნიერება სხვისთვის ლამპრად იქნება კაცობრიობას, პროდუქტიული მუშაობა მის დაუღალავ ხალხისა ქვეყნისათვის წარმატებისა და სიუხვის ფაქტორად ისევე დარჩება...

რაღა თქმა უნდა, კულტურულ გერმანიის ამ საერთაშორისო გამოსვლას აზრი და მნიშვნელობა არსებულ ვითარებაშიც არ წაერთმევა. გერმანიის ხმა არც დღეს დარჩება გამოუხმაურებელი: მას ანგარიშს გაუწევენ ის სახელმწიფონიც რომელნიც ეხლაც ყოყმანობენ საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში და შესაფერისად ვერც გარკვეულან საქართველოს უდავო სახელმწიფოებრივ უფლებებში.

ამ თვალთახედვით გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის იურიდიულად ცნობას მნიშვნელობა ემატება; გერმანიის გამოსვლას მეტი ნათელი შეაქვს იმ საკითხში. რომელსაც ზოგნი განგებ აბნელებენ.

ოსმალეთის საფრთხის საკითხი დამფუძნებელ კრებაში.

ამ თვის 5, სასწრაფოთ შეიკრიფა დამფუძნებელი კრება განიხილა ოსმალთა ჯარების შესევის საკითხი სომხეთში და ჩვენი საფრთხე.

პირველად დამფუძნებელ კრების თავჯდომარემ წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა და შემდეგ მთავრობის სახელით გამოდის ნოე რამიშვილი რომელიც ამ-

მთავრობის განცხადება.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ გამოჩნდა შავი ღრუბლები. ჩვენს არსებობას და თავისუფლებას კვლავ წინ ეშლება შავი აჩრდილი. ჩვენი ხალხი კვლავ დგება საგარეო საფრთხის წინაშე. ამ ჟამად ეს საფრთხე მოდის სამხრეთიდან. სამხრეთის ჭიშკრებთან გამოჩნდენ ოსმალეთის ლაშქრები. ქემალ-ფაშის მიერ ყარსის და სომხეთის სხვა ნაწილების დაკავებამ შექმნა საქართველოსათვის ახალი მდგომარეობა, ახალი სამეზობლო ურთიერთობა და თუ ჩვენ ახლავე ამაში არ გავერკვიეთ და შესაფერი პოზიცია არ დავიჭირეთ— მერე გვიანი იქნება. ვინ არის ქემალ ფაშა და რა სურს მას ჩვენში. ქემალ-ფაშა—ეს ოსმალეთის გამდგარი გენერალია, რომელიც არ სცნობს ოსმალეთის ომში დამარცხებას და მის შედეგებს. უარყოფს ოსმალეთის კანონიერ მთავრობას და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიდან-კვირამდე

გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო იურიდიულათ.

ინგლისში მუშათა გაფიცვები მშვიდობით დამთავრდა.

ვრანგელი და პეტლიურა ვერ შეთანხმებულან.

ქემალ ფაშას ჯარმა ყარსი აიღო.

სომხები ბრძოლით უკან იხევენ და მტერს საგრძნობ ზარალს აყენებენ.

გიორგობისთვის 5 ს დამფუძნებელი კრება შეიკრიფა და იმსჯელა ოსმალეთის ჯარის შემოტევის შესახებ.

მიერ დადებულ ზავის პირობებს და აგრძელებს ენვერფაშის პოლიტიკურ პროგრამას და ვეხიბ-ფაშის სამხედრო გეგმებს. ის დამარცხებული მცირე აზიაში ელინთა—ჯარების მიერ, დევნილი ზღვებიდან ინგლისის მიერ, მოეშურება ამიერ კავკასიისაკენ შიგნით სამშობლოში დაცემული პრესტიჟის აქ აღსადგენათ. მეორდება 1918 წლის აპრილის ამბები იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩვენ საქმე გვქონდა ძლევამოსილ ოსმალეთთან და მის მოკავშირე ცენტრალურ სახელმწიფოსთან, ახლა კი დაუძლურებული ოსმალეთის ურჩ მხედრებთან. სომხებზე თავდასხმა და მისი განიავება პირდაპირი მუქარაა ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისათვის. სომხის ერის კვლავ მონობაში ჩავარდნა ნიშნავს ჩვენი თავისუფლების მუდმივი მახ საცდელში ყოფნას. დამოუკიდებელი სომხეთი აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელ საქართველოს არსებობისათვის, თუ ამას დავუმატებთ ქემალ ფაშის მთავრობის საპროტესტო ნოტას, რომელიც მან ჩვენ გამოგვიგზავნა აგვისტოში ბათომის ოლქის დაკავების გამო დავინახავთ, რომ ქემალ-ფაშის ლაშქარი არ დაკმაყოფილდება სომხეთით და ჩვენსკენაც გამოილაშქრებს. ჩვენ, რასაკვირველია არ ვერევით ქემალ-ფაშას შინაურ საქმეებში. ჩვენის აზრით ოსმალეთის სწორად გაგებული სახელმწიფოს ინტერესები უეჭველად მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენთან კეთილ-განწყობილების დამყარებას. მაგრამ ეს ჭეშმარიტებასო მალეთის მოღვაწეებმა ვერ გაიგეს 1918 წ. და, ალბათ, ვერ იგებენ ვერც ეხლა წუთიერი, წარმავალ ინტერესების მუდმივ ინტერესებზე მაღლა დაყენება ნიშანდობლივი თვისებაა ბეცი პოლიტიკის და ალბათ ამით აიხსნება ქემალისტების საპროტესტო ნოტა და მათი აგენტების აგიტაცია საქართველოს საზღვრებში. და აი აქ ჩნდება მთელი სიმართლე ბრძნული თქმულების: „თუ გნებავთ მშვიდობიანობა, ემზადეთ ომისათვის". თუ გნებავთ ქემალის ლაშქრის თავიდან აცილება—წინ დაუყენეთ მას ასეთივე ლაშქარი, აჩვენეთ მას შესაფერი სამხედრო ძალა და ის იძულებული იქნება ჩვენს საზღვრებს გზა აუაროს. ქემალ, ფაშა ემყარება არა იმდენათ თავისი სუსტს ძალას, რამდენათაც ბალშევიკების და ადგილობრივი მუსულმანების თანაგრძნობას.

ჩვენ გვაქვს მოსკოვის მთავრობის კატეგორიული განცხადება, რომ ის ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას სავსებით ემყარება, ბათომის ოლქს საქართველოს უდავო ნაწილად სცნობს და ქემალ ფაშის საქართველოში გამოლაშქრებას დაუშვებლად აღიარებ. ამ დაპირებას არ ახლავს არავითარი გარანტია არის მხოლოდ ჩვენი ძალა, ჩვენი მომზადება, ჩვენი მამაცობა. ჩვენ ახლა არ ვართ ის, რაც ვიყავით 19—18 წელს. ახლა ჩვენ გვაქვს მოწყობილი სახელმწიფო, გვყავს ბრძოლებში გამოწვრთნილი მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია. გვაქვს ხალხის ერთსულოვნება და აი ეს არის ჩვენი თავისუფლების გარანტია, ჩვენი ბატონობის და სუვერენობის უზრუნველყოფა. ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც ვიცით: მოსკოვის მთავრობა აქტიურ დახმარებას ქემალისტებს ჩვენს წინააღმდეგ არ გაუწევს. დარჩა ამათ მთავარ იმედათ ადგილობრივი მუსულმანები, განსაკუთრებით ბათომის ოლქის მცხოვრებნი, სადაც ქემალისტების აგენტებმა უკვე წამოყვეს თავი და შეუდგენ მოღალატურ ქსელის გაბმას ამ მუშაობას ეწევიან განსაკუთრებით ოლქის უმუშევარი მცხოვრებნი, რომელთაც ავანტიურიზმი და ხალხის აწიოკება თავის სარჩენ წყაროთ გაუხდიათ მშრომელი ხალხი პირიქით—ყოველივე არევ დარევას გაურბის და ცდილობს წინანდელი შემოსევებით, აკლებული თავისი სახლ კარი აღადგინოს, თავისი წაფორხილებული ეკონომიური მდგომარეობა შრომით და გარჯით გააუმჯობესოს. ამათთვის ყოველგვარი ლაშქრობა პირდაპირ დამღუპველია. საქართველოს მუსულმანებმა არა ერთი გამოცდილებით იციან რომ ოსმალეთის რაზმების ჩვენში შემოსვლა მუდამ თავდება მათი დარბევით და ბოლოს ამ რაზმების უკან გაქცევით. მათ უნდა იცოდენ, რომ იგივე განმეორდება ეხლა. უნდა იცოდენ, რომ თუ ძლევამოსილი ოსმალეთი იძულებული იყო დაეტოვებია მთელი ამიერ-კავკასია, ქემალის აჯრელებული, სახელდახელოთ შეკოწიწებულ რაზმებს ჩვენ ქვეყანას არავინ დაანებებს. აქ ერთდღესაც ვერ გაჩერდებიან და მათი შემოსვლის შედეგი მთელი თავისი სიმძიმით დააწვებათ პირველ ყოვლისა მათ შემომყვანთ, მათ მიმდევართ და დამხმარე ქართველ მუსულმანებს. ჩვენ აი აქედან, ამ ტრიბუნიდან ვაფრთხილებთ მათ და მოუწოდებთ თავისი ერთგულებით დაიმსახურონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა და თავისუფლება. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება ბათომის ოლქში განვახორციელოთ დაპირებული რეფორმები, დავამყაროთ თანახმად ადგილობრივი ხალხის სურვილებისა ახალი ნორმალური მართველობა და მით შეიძლება მივცეთ ამ ოლქს ყოველმხრივი განვითარებისა. ქემალისტების გამოჩენამ ეს მუშაობა შეაფერხა და იძულებული ვართ ოლქში საგანგებო წესები კვლავ დავტოვოთ და იქ სასტიკი წესიერება დავიცვათ. საქართველოს რესპუბლიკამ იცის ერთგულობის დაფასება, მაგრამ ორგულთ და მოღალატეთ შესაფერად გადაუხდის. მთავრობა ღებულობს ყოველნაირ ზომებს მთელს რესპუბლიკაში როგორც მოღალატეთა გამოსვლების თავშავე ჩასაკვლავად, იხე გარეშე საფრთხის შესაფერად დასახვედრად.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთელი დემოკრატია განურჩევლად პარტიისა ამ დიდ საბედისწერო ბრძოლაში მას მხარს დაუჭერს და მისცემს შეძლებას მცერს მტრულად ძველებურად მამაცურად დაუხვდეს. ჩვენ არ ვიჭრებით სხვის საზღვრებში, ჩვენს თავს არ ვესხმით არავის, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს, ჩვენს კონებას, და ამ წმინდა და მართალ საქმეში ჩვენთან იქნება მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენ დაგვიჭერს მხარს მთ წინავე კაცობრიობა. (ტაში ყველა სკამზედ)

შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციების წარმომადგენელნი რომელნიც რწმენას გამოსთქვამენ რომ მტერი დამარცხებული იქნება თუ გაკადნიერდა და განიზრახა ჩვენი საზღვრის გადმოლახვა. რის შემდეგაც მიღებულ იქმნა რეზოლუცია.

რეზოლუცია.

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება მეზობელ სომხეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს თავის ღრმას თანაგრძნობას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სომხის ერისადმი და იმედოვნებს, რომ ის გამარჯვებული გამოვა იმ ეროვნულ განსაცდელისაგან, რომელიც მას ემუქრება:

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ თვით საქართველო არ არის უზრუნველყოფილი მზგავსი განსაცდელისაგან, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს ღრმა და მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ხალხი, როგორც ყოველთვის დღესაც ერთსულოვნად დაირაზმება დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

ჩვენ გვწამს, რომ გაივლის საფრთხე და დამფუძნებელ კრებას საშუალება მიეცემა განაგრძოს ორგანიული მუშაობა შინაური ცხოვრების მოსაწყობად, როგორც ცენტრში ისე სამუსლიმანო საქართველოში, სადაც ადგილობრივი პირობების მიხედვით განხორციელებული იქნება მმართველობის დემოკრატიული წესი ავტონომიურ ნიადაგზე.

დამფუძნებელი კრება იწონებს რა მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს, ავალებს მას განაგრძოს დაწყებული სამზადისი, დარწმუნებული რომ რესპუბლიკის დაცვის საქმეში გაერთიანდება მთელი საქართველო, განურჩევლად სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა და მას მხარს დაუჭერს მთელი ევროპის დემოკრატია.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს მიმართოს საქართველოს ხალხს შესაფერი მოწოდებით.

გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო იურიდიულად.

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ. ახმეტელაშვილმა ბერლინიდან ოფიციალურათ აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის სექტემ. 24 საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალურათ „დეიურე" (იურიდიულად) აღიარა და თავის ელჩათ დანიშნა საქართველოში ბ-ნი უდრის რაუხერი მეუმრავლესე სოც.-დემოკრატ. პარტიის ცნობილი წევრი.

(ს. დ. ს.)

[illegible]

სომხეთ ოსმალეთის ფრონტზე.

სომხეთის მთავრობის ევაკუაცია

სომხეთის მთავრობა ერევნიდან გუმბრში გადავიდა.

ომის ოპერაცია.

ომის ოპერაციები სწარმოებს ყარსსა და გუმბრს შუა.

ყარს ყაგიზმან შუა.

ყარს ყაზიგმან შუა მოქმედებს სეპუხის ლაშქარი, რომელიც შესდგება 12 ათას რეგულიარულ ჯარის და პარტიზანთა ნაწილებისაგან ამ ლაშქარში შედის სომხეთის მეორე პოლკის ნაწილები. ლაშქარს ნაყოფიერი მოქმედება ემჩნევა.

სომხეთს მისია ოფიციალად აცხადებს რომ ყველა ხმები სომხეთში მომხდარ პოლიტიკურ გადატრიალების შესახებ მოკლებულია ყოველივე სიმართლეს.

მისიის მრჩეველი თუმანოვი 4 ნოემბერს პირდაპირი მავთულით ერევანს ელაპარაკა და მას აცნობეს, რომ სომხეთში სრული სიწყნარეა და სომხეთის ლაშქარი ყარსთან უფრო ახლოა, ვიდრე გუმბრთან, 4 ნოემბერს სწარმოებდა ომი ყარსსა და გუმბრს შუა.

მისიის ოფიციალი ცნობა.

4 ნოემბერს სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა ოსმალთა ლაშქარის შემტევ ჯარებთან.

მტრის ლაშქრის მრავალ რიცხოვნების გამო, სომხეთის ჯარებმა გუმბრისკენ დაიხიეს.

სომხ. პარლამენტის სხდომა.

ნოემბრის 1 ს შესდგა სომხეთს ნოემბრ. 4 პარლამენტის საგანგებო სხდომა პირველი სიტყვა წარმოსთქვა მინისტრთა თავმჯდომარემ მომენტის შესახებ. პრემიერმა აღნიშნა რომ თუმცა სომხეთის ლაშქრის სამხედრო მოქმედება ერთობ უიღბლოა, მაგრამ მთავრობას მაინც გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე ეომოს მტერს.

შემდეგ გამოვიდენ პარტიების წარმომადგენელნი. ყველას სიტყვებში გამოკრთოდა მტრის საშინელების გრძნობა და მოითხოვდენ ძალების მობილიზაციას.

ოსმალეთის ლაშქარი.

(გაზ. „აშხატავორიდან.")

ოსმალო ტყვეები საკუთარ თავსა და მზეს ფიცულობენ, რომ სომხეთს ოსმალეთიდან არ მოელის საფრთე, რადგან ქიამალის ჯარი შესდგება 9 ათას ასკერისგან. ამავე დროს სომხეთის გაზერკებმა აღმოაჩინეს, რომ ქიამალის ჯარი რამოდენიმე ათი ათას კაცს აღემატება, და სომხეთის ზურგის ფრონტი კი სრულებით უზრუნველყოფილი არ არის. სომხეთში მცხოვრები ქურთები და მუსლიმანები ალახს ფიცულობდენ სომხეთის ერთგულობაში და ზურგს უკან კი შეთქმულებას გვიწყობდენ.

გარდა თვით მუსლიმანებისა გამოჩდენ სხვა ძალები, მაგალითად მალაკანები, რომელნიც ოსმალებს ცნობებს აწვდიდენ ქიამალისთვის ნიადაგს ამზადებდენ; ისინი გვეუბნებიან: თქვენ არ გიყვართ ლევრანი, მაგრამ ყარსი უკვე ეცემა და იძულებული იქნებით სთხოვოთ ლევრანს, რომ მან გააძევოს აქედან ქიამილი.

სომხეთის ლაშქარი.

სომხეთის მცირე რიცხოვანი ლაშქარი ყოველ მხრივ იყო გაფანტული რომელნიც დღე და ღამ იცავდენ სამშობლოს. რამოდენიმე წლის განმავლობაში იარაღ ქვეშ მყოფი სომხის ჯარის კაცი, ნახევრად ტიტველი მშიერი საკმაოდ გრძნობდა მტრის საშინელებასა და თავის მოვალეობას პირწმინდათ ასრულებდა. აღმფრთოვანება ყოველთვის დიდი იყო და დღესაც, ყარსის დაკარგვის შემდეგაც ამაყად უჭირავთ თავი.

ყარსის დაცემა.

ყარსის დაცემა მოულოდნელი იყო. ოსმალებმა გაანაწილეს თავიანთი ძალები ყარსის გარშემო აგაშიდან სადგ. ანამდე.

ჯერ კიდე ოქტომბრის 28 ოსმალები ამოძრავდენ არამ ვარდანის რაიონში; დაიპყრეს სადგ. მაცრა. წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად გაიგზავნა სომხური ძალები, მაგრამ ადგილობრივი ქურთებიც ამ დროს აჯანყდნენ.

ეს ოპარციები ემუქრებოდა გურო ყარსის რკინის გზის ლიანდაგს. სომხეთის ლაშქარი ამ ფრონტს შერჩა, და ამასობაში ქემალი ყარსისკენ მიეშურებოდა. დაიწყო საბედისწერო ომი. ყარსს მედგრად იცავდენ. ქიამალს თანდათან ემატებოდა ძალები. ოქტომბრის 30 ს ოსმალები ყარსს მიადგენ 8 ვერს მანძილზე. მცხოვრებნი მაინც არ გადიოდენ ქალაქიდან, საშინელი ბრძოლა სწარმოებდა, სომხებმა გადასწყვიტეს უკანასკნელ ღონემდე იომონ.

ოსმალები იბრძოდენ საოცრად. ჩვეულებრის სიაფთრით, სომხები ენერგიულ წინააღმდეგობის უწევდენ. არ მომხდარა პანიკა და ადგილი არ ჰქონია სასოწარკვეთას.

ოქტომბრის 30-ს დილით უფრო გაწვავდა მცხოვრებნი თანდათან შეუდგენ ქალაქიდან გასვლას გუმბრისკენა ყარსი უკანასკნელ წუთებს განიცდიდა მოჰკლეს გენერალი მ. „ყარსს კიდევ შეუძლია მოგერიებაო" ამბობდა ყველა.

ამ დროს მოვიდა ცნობა: ოსმალებმა მდაიპყრეს მთა „მეც იანგა". ამის შემდეგ ყარსი მეორე ხარისხოვან სიმაგრედ გადიქცა.

გენ. ვ. და ა. გადასწყვიტეს თავიანთი ნაწილებით ყარსში სიკვდილი. ბრძოლამ საბედისწერო ხასიათი მიიღო ყარსის კედლებთან. ოქტომბრის 31-ს დღის 1 საათზე ოსმალები ჯერ თეთრი და შემდეგ წითელი დროშით ყარსის ალაყაფის კარებთან გამოჩდენ.

ყარსი დაეცა.

უცხოეთში

მახნო და ბოლშევიკები.

ბათომი. ბოლშევიკური ცნობით მახნოს პარტიზანული რაზმი კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს წითელ არმიელებს.

ყირიმის ფრონტი.

ბათომი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით მდგომარეობა ყირიმის ფრონტზე სავსებით გაუმჯობესდა.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა.

პარიზი. „ტანი" იუწყება საფრანგეთის ფინანსიური რეფორმის შესახებ. ეს რეფორმა ჯერ მხოლოდ განზრახულია ფიქრობენ გამოუშვან 6 პროც. სესხი 30 მილიარდი, რომლის მიღებაც სავალდებულო იქნება, როგორც ნამდვილი ფულისა. „ტანის" ფიქრით ეს სესხი დამღუპველი იქნება საფრანგეთის ფრანკის კურსისათვის, გაზეთის აზრით ამ ჟამად საჭიროა, რომ რაც შეიძლება შემცირდეს სახელმწიფოში არსებული ნიშნები,

ევროპის პროფ. კავშირები და მესამე ინტერნაც.

შო კავშ. მოსკოვის პროფ. კავშირთა საბჭომ გერმანიის მუშებს მიმართა წერილით, მოსკოვის პროფ. კავშირთა და ბერლინის პროფ. კავშირის წარმომადგენელთა შორის არსებულ მოლაპარაკების შესახებ. მოსკოვის კავშირი სწერს: ბერლინის კავშირთა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მესამე ინტერნაციონალისა და საერთაშორისო პროფ. კავ. საბჭოსთან კავშირის შეკვრაზე, გერმანიის წარმომადგენლებმა უარიც კი განაცხადეს გერმანიის მუშებში საერთაშორისო პროფ. კავშირთა საბჭოს გამოცემათა გავრცელებაზე.

საბჭოთა რუსეთის შინაგან დამცველს ჯარს ეწოდა რესპუბლიკის შინაგან ხასახურის ჯარი. მას შეუერთდა დასჯელი ჯარები, რკ. გზათა დამცველი ჯარები და სხვა.

ყაჩაღობა რუსეთში.

„იზვესტია" იუწყება: დღისით მოსკოვის ცენტრალურ [illegible] იყო შეიარაღებული თავდასხმა. წაიღეს 388 მილ. მან. დაცემა გაგრძელდა 3—4 წუთს. ყაჩაღები მიიმალნენ. მოკლეს რამდენიმე წითელი არმიელი.

ბირჟის მდგომარეობა.

პარიზი. ბირჟაზე მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაშია საფრანგეთის საკრედიტო საზოგადოებები და ზოგიერთ საქონლის, როგორც მაგ. ტყვიისა და შაქრის ფასები.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

გერმანიის პრესა გარდინგის პრეზიდენტად არჩევას სიხარულით ეგებება და ამას ეს ფაქტი ვილსონის პოლიტიკის დამარცხებად მიაჩნია. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ გარდინგი შეეცდება ერთა ლიგის საქმეთა გაუქმებას და გერმანიის შიგ თანასწორ უფლებას მიანიჭებს. საერთო აზრია, რომ გარდინგს არა აქვს განზრახული ჩაერიოს ევროპის საქმეებში მაგრამ ბევრსა სწამს, რომ ამერიკა თავის საკუთარ ინტერესების გამო დახმარების ხელს გაუწვდის ევროპის აღდგენის საქმეს და მათ შორის გერმანიასაც.

ვრანგელის მიწის კანონი.

მოსკოვი. 5 ნოემ. „პრავდა"-ს მოწინავე სწერს: ვრანგელმა თავის მიწის კანონში ნამდვილი მემამულის ბუნება გამოიჩინა. ყირიმში მონარქიული მოძრაობა ძლიერდება, ზომიერი კადეტები კი სტოვებენ თავის ადგილს. ბურცევს. დროებით მოუსპეს დახმარება და იგი საეჭვო პირათ მიიჩნიეს.

ინგლისში კატასტროფიულად იზრდება უმუშევრობა. უმუშევართა რიცხვი 400,000 აღწევს. ნახევარ მილიონამდე კაცი კი არ მუშაობს განსაზღრულ დროის განმავლობაში.

ინგლისი და გერმანია.

უკანასკნელ ხანში ინგლისის ლიბერალურ წრეებში იზრდება მოძრაობა ინგლის—გერმანიის დაახლოების სასარგებლოთ და გერმანიის ერთა ლიგაში შესასვლელათ. ეს გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის შორის მომწიფებულმა კრიზისმა ბერლინში გაიხსნა ძველ კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობა, რომელიც კომუნისტთა და მემარცხენე დამოუკიდებელთა შეერთების შემდეგ უკანასკნელს ყრილობას წარმოადგენს. ახალი პარტიას: გაერთიანებული კომუნისტური პარტია ეწოდება.

ვაშინგტონის მთავრობამ რუმინეთის მთავრობას ბესარაბიის ანექსიის გამო პროტესტით მიმართა. ვაშინგტონში რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების პროექტის შედგენა დაიწყეს.—კორეიაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. რევოლიუციონერებმა შეადგინეს მთავრობა, რომელსაც იაპონიის პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციამ ვერაფერი მოუხერხა. კორეიელებს ეს მთავრობა ავტორიტეტულად მიაჩნიათ და ყოველივე საქმისთვის მას მიმართავენ ხოლმე ამით ისინი იაპონიის ადმინისტრაციაში დიდს სიბრაზეს იწვევენ. კორეელებმა გადასწყვიტეს ცეცხლითა და მახვილით იბრძოლონ დამოუკიდებლობის დასაცავათ.

დიდი ახალი საჰაერო გემი. პეტროგრადში გაემგზავრა საგანგებო კომისია, რომელმაც დაათვალიერა და მოიწონა ,,ელექტრო მატარებლის გამომგონ'' ინ. მახონინის ახალი საჰაერო გემის პროექტი. გემის მატორს ექნება 24,000 ცხენის ძალა, შეიძლებს 60,000 ფუთი ტვირთის წაღებას, გემზე მოეწყობა კაიუტები, რომლებიც სართულობით იქნება. კაუტები შეერთებული იქნება ლიფტით. გემზე დაეტევა აეროპლანი, ავტომობილი და სამატორო ნავი. გემი წაიყვანს 1000 კაცს. საათში ის გაიფრენს 100 ვერსტს გემის დამზადებას 1921 წლ. მაისისათვის 1 სათვის ფიქრობენ.

მოსკოვი 3 ნოემბ. სამხედრო ცნობა ყირიმის რაიონში ბრძოლა გრძელდება სალკოვაში 1000 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. ბრძოლის შემდეგ ავიღეთ გენიჩესკი.

საქართველო და ინგლისი.

ლონდონი. (საკუთარი კორესპოდენტისაგან) დიდ ბრიტანეთში არსებული კრიზისი ვაჭრობისა ცუდ გავლენას ახდენს ყველაფერზე. მდგომარეობის ახლო ხანში გაუმჯობესების იმედი არ არსებობს. განსაკუთრებით ძვირია ცხოვრება. თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისისა და საქართველოს ფულების სათანადო კურსს უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში ცხოვრება ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ინგლისში.

ცნობები ტრაპიზონიდან.

(საკ. კორესპ.)

აქ ხმა ვრცელდება, რომ შავი ზღვის ნაპირებთან (ნოვოროსიის რაიონი) ქემალისტებს ამას წინად ერთი გემი იარაღი, ფული და რამდენიმე ბოლშევიკი მიუღიათ.

(გაზ. „ბათ. ფურც".)

ლიტვია და საბჭოთა რუსეთი

საგ. საქმ. კომისარმა ჩიჩერინმა ლატვიის მთავრობის მიმართ გაგზავნილ ნოტაში აღნიშნა, რომ ვრანგელის ჯარისათვის რუსის ოფიცრების მოგროვება უმეტეს ნაწილად ლიტვიაში ხდებაო.

ანტიბოლშევიკური პარტიების ყრილობა პარიზში.

საფრანგეთის პრეზიდენტი მილერანი წინადადებას იძლევა დეკემბერში პარიზში მოიწვიონ რუსის ყველა შავრაზმელ სოციალ გამცემლების პარტიის ყრილობა, რომ გამოიმუშავონ გეგმა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ.

ანტიბოლშევიკური ფრონტი

ბალახოვიჩის ბრბოებთან ერთად დასავლეთის ფრონტებს ნეიტრალურ ხაზზე მოქმედებს გენ. პერემიკინის კონტრ-რევოლიუციონური ჯარი (იუდენიჩის ჯარის ყოფილი სარდალი) პერემიკინს ყავს 30.000 ჯარის-კაცი. ეს ჯარი თავის თავს ვრანგელის მესამე არმიას უწოდებს. ამ ბრბოს ეხმარება საფრანგეთი. ბალახოვიჩის რაზმს უმთავრესად უჭერს მხარს პოლონეთი.

მოკავშირეთა სახელმწიფონი და ქიამილ-ფაშა

თემთა პალატაში ლორდ კერზონმა განაცხადა: მოკავშირეთა კომისიას კონსტანტინოპოლში არასდროს არ მიუცია ბრძანება შავ ზღვაზე ბლოკადის დაწესებისა საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რაც შეეხება ოსმალოთა ნაციონალისტებისათვის, სამხედრო მასალის მოწოდებას, ხმელთა შუა ზღვის საზღვაო ძალების სარდალი ფხიზლათ ადევნებს თვალყურს, რომ სამხედრო მასალა არავინ გაიტანოს.

ქრონიკა

— ვაჭრობის განვითარება. ფინანსთა სამინისტრომ მიიღო შუამდგომლობა „ერმისის" ამხანაგობისაგან შესახებ იმისა, რომ სამინისტრო დაეხმაროს მას ასანთის ქარხნის გახსნაში. ამხანაგობა შუამდგომლობს 1. ნება მიეცეს მას სახელმწიფო ბანკის საშუალებით უცხოეთის ვალიუტის შეძენისა, საზღვარ გარედ ნედლი მასალის შესაძენად და აქედან ადგილობრივი ნედლი მასალის გატანისა ქარხნისთვის საჭირო საქონელზე უცხოეთში გადასაცვლელად. 2. უზრუნველყოფილი იყოს ამხანაგობა სათანადოდ და 3. [illegible] მასალით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. ოზურგეთის სამაზრო ერობამ სთხოვა, დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ახალი შარა გზების გასაყვანათ, ძველის შესაკეთებლად და ხიდების გასაკეთებლად. ერობა 13 მილ. მანეთის დახმარებას თხოულობს. ამას გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო საფინანსო შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე.

— ფინანსთა სამინისტროში. სოფ. შუქრუთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ვაჭრობა მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეთ მათ უფლება ამ რაიონში არსებულ შავი ქვის საკონცესიო საფუძველზე დამუშავებისა. დაწვრილებითი გეგმა და შრომის პირობები ფინანსთა სამინისტროს სახელზე გადმოიგზავნება არა უგვიანეს ნოემბრის 5.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა ბრძანება, დაპატიმრებულ იქნეს ბოლნისის რაიონის კომისარი სოფ. ბოლნისის მცხოვრებლების შევიწროვების გამო, კომისარი გამოგზავნილი იქნება ტფილისის ციხეში.

— თელავი ნოემბრის 2. უკანასკნელ დღეებში ხორბალი მეტად გაიაფდა წმინდა ხორბალი ფუთი 2000—2500 მ. იყიდებოდა და ეხლა 1400—1600 მან იყიდება. მოსალოდნელია ხორბლის კიდევ უფრო გაიაფება. გამომცხვარი პურიც გაიაფდა. გირვანქა 50 მ. მაგიერად ახლა 37—40 მ. იყიდება.

— საკოოპერაციო ცხოვრება. საქართველოს კოოპ. ცენ. კავშირმა „ჩემოსთან" დასდვა ხელშეკრულება 6.000.000 ფუთი შავი ქვის მისთვის გადაცემის შესახებ გერმანიაში გასატანად. მას სურს შავი ქვა საქონელზე გადაცვალოს. ამავე კავშირის წარმომადგენელს გუგუშვილს მოლაპარაკება აქვს ბრიტანეთის კოოპერაციის წარმომადგენლის საქართველოში გამოგზავნის შესახებ.

საკოოპერაციო ცენტრმა ვალაცის ფირმისაგან შეიძინა 70 მილ. მანეთის იტალიიდან მიღებული მანუფაქტურა.

ამავე კავშირის მიერ შეძენილ 100.000 ფუთ მარილის მიღებას ამ დღეებში მოელიან.

— ახალციხე ნოემბრის 2. ახალციხის მილიციამ დააპატიმრა 3 პირი, რომლებსაც უნახეს ფული და საბუთები რაიც მათ ქემალის მომხმარეობას ამტკიცებს. ქემალ ფაშას აგენტებს ფხიზლათ ადევნებს თვალყურს ადმინისტრაცია.

— სურამი ნოემბრის 1. სურამის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი გიმნაზიათ გადააკეთოს, და გიმნაზიის 5 კლასი გახსნას.

— სურამის ქალაქის თავად დ. სულიაშვილი აირჩიეს.

— ქალაქის გამგეობამ თავის გამგებლობაში მიიღო სამხედრო სამინისტროს საავადმყოფო 80 საწოლით, კიდევ 20 საწოლი მიემატება.

—მთავრობამ დაადგინა გადასცეს ჯანმრთელობის დეპარტამენტს კურორტი აბასთუმანი.

შრომის სამინისტროში.

შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს ქალაქ ტფილისის მუშებისა და მოსამსახურეების დაჯილდოვების შესახებ შემდეგი დებულება უდევს საფუძვლად: 1. ჯილდო მიეცემათ: ა) შრომის ნაყოფიერებისათვის, ბ) მრეწველობისათვის საჭირო მასალისა და იარაღის მომჭირნეობისათვის. 3) უვარგისი საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის; 2) შრომის ჯილდოს ნორმა შემუშავებულ იქმნება პროფ. კავშირებთან შეთანხმებით. 3) შრომის ჯილდოს სატარიფო პალატის მიერ შემუშავებულ ხელფასის ან ჯამაგირის 200 პროც. არ უნდა აღემატებოდეს.

— შრომის სამინისტროს ამ პროექტის განსახილველად მოწვეულ იქმნა განსაკუთრებული თათბირი სხვა და სხვა სამრეწველოების მუშათა წარმომადგენელების მონაწილეობით. თათბირმა საჭიროდ სცნო შრომის დაჯილდოების პროექტის სასწრაფოთ განხორციელება. შრომის დაჯილდოება გატარდება შემდეგ სამრეწველოებში ა. სატრანსპორტო საზოგადოების ლითონის ქარხნებში. ბ. ელექტრონის მრეწველობაში, ხე-ტყის სახერხ ქარხნებში, ადელხანოვის ქარხანაში და სხვაგან. თათბირმა შესაძლებლად სცნო მუშა ძალის ეკონომიისათვის ჯილდოს შემოღება მელითონე, ელექტრონზე, ბეჭდვით საქმესა და გაზეთებში მომუშავე კვალიფიციურ მუშასათვის. საწარმოო იარაღებისა და მასალის ეკონომიისათვის და უვარგისი საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის ჯილდოს შემოღება თათბირმა შესაძლებლად სცნო მრეწველობის ყველა დარგში.

— ნავთი. სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს დადგენილებით მუშათა მაგიდას ნოემბრის განმავლობაში მიეცემა 35.000 ფ. ნავთი ქალაქ ტფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და 25.000 ფ. პროვინციის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც მუშათა მაგიდის მიერ არიან სიებში შეტანილი. ყველა მუშის და მოსამსახურის ოჯახს მთელს რესპუბლიკაში მიეცემა თითო ფუთი ნავთი.

— ბოროტ-მოქმედებანი პურის საქმეში. მუშათა მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა მესამე სიას, რომელნიც მომარაგების ფონდიდან პურსა და სხვა სანოვაგეს არა კანონიერის გზით 2 ადგილას ღებულობდნენ: 1) ნ. მელიქიშვილი ითვლება ოლღას სახებით ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2) ნაცვლიშვილი ითვლება მე-9 კომისარიატში და ქალაქის თვითმართველობაში, 3) კერენტრიშვილი ითვლება სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში და ქალაქის თვითმართველობაში, 4) ა. ბატრაკოვი ითვლება საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებასა და მე-7 ქვეითა პოლკში, 5) ვაცილოვსკი ითვლება თუთუნის ქარხანა „შავი მნათობსა" და სააქციზო სამმართველოში, 6) ა. კარაპეტიანცი ითვლება ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში, 7) ს. მაჭავარიანი-მომარაგების სამინისტროსა და ტრამვაიში, 8) ნ. მეიფარიანი-ირიცხება საეპარქიო კანცელარიასა და ტრამვაიში, 9) პ. ვინოგრადოვი ირიცხება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და მიწად მოქმედების სამინისტროში, 10) მ. ბარათაშვილი-ირიცხება ცენტრო ბანკსა და სასამართლო პალატაში, 11) გ. რატიანი-ირიცხება რკ. დეპოში და მისი ცოლი პურს ცალკე იღებს. ორივე ცოლ ქმარი პურს ცალცალკე მთელი ოჯახისათვის იღებდა და ზედმეტს ყიდდენ, რატიანი დაჯარიმებულ იქმნა 4200 მ ნეთით.

აღნიშნულ პირებს მოსპობთ ულუფა და ისინი პასუხის გებაში მიეცენ.

— კოოპერატიული ცხოვრება. საქართველოს კოოპერატიულმა ბანკმა თავის შემოსავალ გასავლის ანგარიში შეადგინა. ბალანსი უდრის 62.841.120 მ.ნ. გასულ თვეში ბალანსმა სექტემბერთან შედარებით 17 მილ. და 741.869 მ.ნ. მოიმატა.

— ტყიბულის ნახშირი. ინჟინერმა ბაცაძემ მოახდინა ცდა ქალაქის ტრამვაის ელექტრონის სადგურის ორთქლის ქვაბების ტყიბულის ქვანახშირით გათბობისა. ცდამ მშვენიერი შედეგები მისცა. ორთქლის ქვაბების ნაწილს უკვე ტყიბულის ქვანახშირით ათბობენ.

საუბარი მეზობელთან.

5.

დიდიხანია ჩემო ზაქარო მე და შენ აღარ გვისაუბრია და აღარ გაგვიმხელია ერთმანეთის გულის ნადები.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ჩვენი ქვეყნის მართველობის შეცდომებზე და ზოგჯერ მათ უვარგისათ ვსახავდით, რადგან მათ მოქმედებაში ვხედავდით ჩვენ სამშობლოს შინაურ წყობილებისთვის საზარალო ნაბიჯებს.

აი თუნდ კვლავ მოვიგონოთ მომარაგების სამინისტროს მოქმედება ჩვენში, პურის აკრძალვა, ძალით ჩამორთმევა და ჩვენი ნაშრომის ისე დატყვევება, რომ არ შეგვიძლიან ისე მოვიხმაროთ როგორც ეს ჩვენ გვინდა, როგორც ჩვენ ცხოვრებას შეეფერება. გაყიდვა არ შეგვიძლიან, რადგან ჩვენ დაგვჭირდებაო, ყიდულობენ ამ სამინისტროს აგენტები და მიმაგივრათ, რომ პირნათლად შეასრულონ ეს თავის დანიშნულება, ისინი იდენენ მრავალ ბოროტ მოქმედებას, ჩვენის ხალხის ჭირის ოფლით და შრომით მოყვანილ ხორბალში ურევენ ნაგავს და სხვა ამისთანებს. რა არის წონაში მოიმატოს და თვითონ სარგებლობა ჰნახონ.

ისინი ვერ მიხვდარან იმას თუ რათ ეწოდება პურს თუ სხვა რამეს მიწაში ოფლ ნილს „ქარხაბული". და ეს ქარხაბული მოითხოვს მეტ პატივისცემას, რადგან იგი ნახულია ჩვენი ხალხის ჭირისა და გაჭირვებას, მას მრავალი უბედურება უნახავს და ამიტომ უნდა მას მეტი პატივისცემა, უნდა მხოლოდ ამიტომ და თუ მხედველობაშიც არ მივიღებთ იმ ზარალს, რაც ამ ბოროტ მოქმედებით ჩვენს ხალხს ატყდება თავს.

ბ-ნ ერამის სამინისტროს აგენტები, რომ ასე მოქმედებენ განა აქცევენ მათ სათანადო ყურადღებას, აძლევენ მათ სამართალში, სრულიადაც არა.

ესეთ მოპყრობას საქმისადმი ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

თუ გახსოვს წარსულ კვირას ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო დეპეშა საზღვარ გარეთიდან, რომელიც შავი ქვის ყიდვას და უცხო სახელმწიფოში გატანას ეხებოდა.

შავი ქვის (მარგანეცი) გატანა დავალებული აქვს საზოგადოება ,,ჩემო''-ს. მისი გატანა და გაყიდვა მხოლოდ მას შეუძლიან და სხვა არავის.

მაგრამ მიუხედავათ ამ პირობისა მომარაგების სამინისტრო რას ჩადის?

არღვევს პირობას და თვითონაც გააქვს საზღვარ გარეთ.

ეხლა იქ, საზღვარ-გარეთ, რა ნაირი შთაბეჭდილება იქმნება? შთაბეჭდილება ისეთი თითქოს ბაზარზე შავი ქვა პევრიაო, რადგან მრავალი აგენტი ამ სამინისტროსი, რასაკვრელია უცხოელი, ცდილობს ჩქარა გაჰყიდოს, გაასაღოს.

და როცა ასეთი მდგომარეობა იქმნება აშკარაა გასაყიდი საქონლის ფასი ეცემა მასში იმდენს აღარავინ მისცემს რამდენიცა ღირს.

კარგა იცი როდესაც ბაზარზე საქონელი ბევრია ყველა გამყიდველი ცდილობს საქონელი მალე გაასაღოს, თავიდან მოიშოროს, რომ მერე სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ამიტომ ხშირად ფასს ძირს უწევს, მყიდველიც აღარ აძლევს იმდენს, რამდენიცა ღირს, რადგან იცის რომ სხვამ შეიძლება ნაკლებათ მისცეს.

ასეა ხოლმე ხშირად. გამყიდავი საქონლის გასაღებას, რომ სცდილობს, ერთმანეთს ეჯიბრება.

ჰო და საზღვარ გარეთაც ასეთი პირობანი იქმნება შავი ქვის გასაღების დროს, რადგან იქა ჩნდება ორი, სამი გამყიდველი.

ვინა ზარალობს ამ შემთხვევაში? ზარალობს რასაკვირველია საქართველო, მისი ხალხი, მისი ხაზინა.

რადგან მარგანეცის გაყიდულ ფასში ჩვენ იქიდან შემოგვაქვს საჭირო ნივთები, საჭირო საგნები.

და რამდენადაც მეტად გაიყიდება იქ, ჩვენი საქონელი მით უფრო მეტს შემოვიტანთ, რამდენადაც ნაკლებად აშკარაა ნაკლები საქონელი გვერგება.

ეხლა კი იყიდება ნაკლებ ფასში იმის წყალობით, რომ მომარაგების სამინისტრომ, რომელსაც ამის ნება არა ჰქონდა იმანაც გაიტანა ბაზარზე ის საქონელი, რომელიც სხვას უნდა გაეყიდნა.

ესეც აშკარაა დიდი ნაკლია და პირ და პირ შეუწყარებელი, ასეთ ამბებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ის უეჭველად გამოსწორ. უნდა იქმნას. ეს გამოსწორება კი ჩვენი ხალხის შემწეობით, შეიძლება მაშინ როდესაც იგი უფრო ფხიზლათ მოეკიდება.

ეს ფხიზლათ მოკიდება კი, რაში უნდა გამოიხატოს?

ეს გამოიხატება იმაში, რომ თქვენ უნდა აირჩიოთ ხოლმე უეჭველად ისეთი ხალხი, რომელიც შეეფერება თქვენ ცხოვრებას და ისეთნი ვინც თქვენ უფლებებს დაიცავს ხეირიანად.

აი ამ ნაკლებზე ვლაპარაკობდით და მიუთითებთ ხოლმე ჩემო ზაქარო, ეს საქმიოა შინაურ ცხოვრებაში, მაგრამ ხან დგება ისეთი დრო, როდესაც ყველანი ერთად უნდა დავდგეთ. ესეთი დროა მხოლოდ ისეთი დრო, როდესაც ჩვენ სამშობლოს შემოესევა მტერი, როდესაც ჩვენ თავისუფლებას საფრთხე მოელის. მაშინ ყველამ ერთად უნდა შევკივლოთ მტერს და საქართველოს დიდებისათვის ვთქვათ ჩვენი ძლიერი ,,მრავალ ჟამიერი''.

ეს ნუ დაგავიწყდება ჩემო ზაქარო.

თქვენებიანთ ნიკა.

ცხენის დაჭედვა

კარგი ფლოქვი (ჩლიქი) სისალეა ცხენის სამსახურისა.

კანონიერი დაჭედვა და ფლოქვის (ჩლიქი) ოსტატურად გაწმენდას აქვს დიდი მნიშვნელობა ცხენის ფეხის სიმრთელისთვის: ყველა არა კანონიერებას მოჰყავს იქამდე, რომ ფლოქვის რქა ფუჭდება- რის გამოც ცხენს ფეხში უჩნდება ძნელად მოსარჩენი ავადმყოფობა და ამას კი შედეგათ მოსდევს ხოლმე ის, რომ ცხენი უვარგისილაა მძიმე სამუშაოსთვის.

ქვემო მოყვანილ უმთავრეს კანონებს აქვს მიზნად ფლოქვის მოვლის (ჩლიქის) დაჭედვის გაცნობა, რის ცოდნით მიხვდება გაწმენდას, დაბეჭდვას და უმთავრესად ყურადღება მიაქციოს თვითეულ ხელმეორედ გადაჭედვას.

პირველად უ ულისხ სანამ დავიწყებდეთ ცხენის ჭედვას, საჭიროა ფლოქვის (ჩლიქის) გაწმენდა, ე. ი. იღებენ ძველ ყავლ გადასულ ფლოქვის (ჩლიქის) რქას. ფლოქის ძირის რქიდგან უნდა მოიჭრას მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მკვდარია არას დროს ხელი არ ეხლოს კარგ ცოცხალ ფლოქვის რქას, და არაა საჭირო ზედმეტი დაწვრილება (გათხელება) ფლოქვის ჩლიქის ძირისა. თორემ რამდენად ის დაწვრილდება, იმდენად ის მშრალდება, ბრტყელდება და დაიძეძკვება (ნამინკა). საერთოდ მიღებულია, რომ რამდენად ნიადაგი, რომელზედაც ცხენს უხდება სიარული, რბილია, იმდენად ფლოქვის ძირს მეტს სჭრიან და, წინა-უკანა, რამდენად ნიადაგი მაგარია და მშრალი—იმდენად სჭრიან ნაკლებს. მშრალი და ძლიერ შეტკეცილ ფლოქვიდგან სჭრიან მეტს, ბრტყელ და რბილიდგან ნაკლებს.

ფლოქვის ჩლიქის რქის დაწვრილებისგან თავი რომ უზრუნველ ვყოთ საჭიროა ხშირ-ხშირად გაშინჯვა ფლოქვის ძირის სიმტკიცისა, რის გაგება ადვილია ცერის დაჭერებით მაზედ—არ შეიხრება, ან დარახუნებით დანის ხელ-ტარით; რამდენათ ფლოქვის ძირი დაწვრილებულია, იმდენად ხმა ბლაგვია და, წინააღმდეგ, რამდენათ სქელი და მშრალია იმდენათ წმინდა და ხმიერია. ჩლიქვის გულს (ფლოქვის შუა გული) სრულიადაც არ უნდა აჭრა, მხოლოდ მოშორება მომკვდარ ნაწილებს, რომლის ქვეშ გროვდება ჭუჭყი, შარდი და წყალი, რითაც ფლოქვი ლპება და იხრწნება. ჩლიქვის გულს უნდა ზოგვა გაწმენდისას, მისთვის რომ ის აფართოვებს ფლოქვს უკანა ნაწილში ცხენის მოძრაობის დროს. რამდენად ჩლიქვის შუა გული ცხენის მოძრაობის დროს იბჯინება მიწას და იწვევს კერძოდ გაფართოვებას, ეს მოძრაობა გადადის ფლოქვის ყველა ნაწილებზე, რაც ძლიერ საჭიროა ფლოქვის სიმრთელისთვის და მდგომარეობისთვის.

ფლოქვს უჩლიქვოდ არა აქვს ისეთი გაფართოვება და ჰკარგავს თავის მნიშვნელობას—ჩლიქვი მუფერია ცხენის

ფეხისათვის; გარდა ამისა იკუმშება ტერბში, იფშხვნება და ხშირად ჰხდება ნაპრალი, არაა საჭირო ამოჭრა ან ამოღრმავება ფლოქვის ძირს ნაწილში, რომელიც ჩლიქვის გულის ახლოა, ე. ი. შემაერთებელი კუთხეები; თუ ეს წესი დაცულ არ იქმნა მას მაინც შედეგი მოსდევს.

ფლოქვის ძირი სწორდება დაკბილული რკინით ქლიბით (რაშპილი) და თუ ის ძლიერ გაიზარდა, მჭრელი ფლოქვის მარწუხით უნდა შეკვეცა. ფლოქვის გლუსუნი ან ბრჭყვიალა ვანი, რომელიც ჰფარავს ფლოქვს გარედ, არას გზით არ შეიძლება გასწორება კბილიანი რკინით, რადგან ფლოქვი შრება და ფუქდება.

თუ ფლოქვის რქა ძლიერ გაფიტულია, იფშხვნება და სკდება, გადაჭედვის წინ, ცხენი საჭიროა იდგეს სველ მიწაზედ 1 ან 1 ნახ. კვირის განმავლობაში. ფეხზე ძროხის პატივის შემოხვევა თუმცა მალე არბილებს ჩლიქს მაგრამ სამაგიეროთ შემდეგში მალევე შრება და იფშხვნება.

კანონიერი გაწმედის შემდეგ, ფლოქვის შეურჩევენ, მიამაგრებენ და დაჭედვენ კანონიერად გაკეთებული ნალით.

უნდა შევნიშნო რომ წინა და უკანა ნალები ერთი არ არის: წინა ფლოქვის ნალი რგვალია ვიდრე უკანასი, სივრცე შტოსი შორის ცოტაა ვიდრე უკანა ნალების; გარდა ამისა მას აქვს ფალია ზედა პირზე, ე. ი. ირიბი-შიგნით ან, როგორც მჭედლები ამბობენ ,,ვიბუხტოვკა‘‘.

ვიბუხტოვკა საჭიროა, მისთვის, რომ ცხენის მოძრაობის დროს ფლოქვის დაბიჯებისას მიწაზედ-ფლოქვი ფართოვდება და ხდება ბრტყელი. აი ფლოქვის ძირის დაბჯენას არ უნდა ჰქონდეს დაბრკოლება ნალში და მისთვის კეთდება შიგნით ირიბი, წინააღმდეგ ფლოქვის ძირი ავადმყოფდება დაძეძკვით (ნამინკით).

უკანა ნალის სივრცე შტოს შორის მეტია ვიდრე წინა ნალისა. გარეგნობა კვერცხისამგზავსია. ვიბუხტოვკა ირიბი არ არის საჭირო, რადგან უკანა ფლოქვი უფრო ღრმაა ვიდრე წინა და ამიტომ როდესაც მოძრაობს, ფეხს აბჯენს მიწაზედ, ფლოქვის ძირი არ ებჯინება ნალის ზედა პირზედ.

საზოგადოთ, კარგ გაკეთებულ ნალად ითვლება ისეთი, რომელიც წმინდათ გამოჭედილია, სწორია, უმთავრესად მირგებულია ფლოქვზედ. მირგება ზომაზე-მიქცეული უნდა იყოს ყურადღება მასზე, რომ ლურსმის ნახვრეტები იყოს როგორც საჭიროა: ლურსმანი უნდა ამოდიოდეს ნახევარ ფლოქვის სისქეზედ უკანა ნაწილში კი ერთ მესამედსე, ან 1 მეთექვსმეტედზე გოჯისა.

ფლოქვის უკანა ნაწილში ნალი უნდა ფართე რადგან ფლოქვი, მოძრაობის დაბჯენის დროს ფართოვდება და ნალმა უნდა დაიფაროს რბილი ნაწილები დაბეესაგან.

ვიბუხტოვკა ან ირიბი წინა ნალზედ უნდა იყოს დიდი, რომ თავისუფლად დაჭედილ ფლოქვის შორის და ირიბის შუა შედიოდეს წუმწუმის ღერო.

ლურსმის დაჭედვას და თავების გაკეთებას უნდა განსაკუთრებული ყურადღება, მიექცეს რომ ლურსმებს არ გრეხდნენ, კვნეტდენ მჭრელი მარწუხით დაჯრება არღვევს ფლოქვის კედლის სიმრთელეს, ნახვრეტში შედის-სიბინძურე, წყალი და ჭუჭყი, რომელიც ცუდად მოქმედობს ფლოქვის სიმრთელეზედ.

ჭედვის გათავებისას, საჭიროა ცხენის გასინჯვა სიარულში: თუ ის თავისუფლად ვერ დადის, ან კოჭლობს, საჭიროა ლურსმის თავების გასინჯვა კარგა. თუ ლურსმები ფლოქვის კედელზედ ერთ ზომზეა ამოსული და რომელიმე ეს ძირსაამა ჩვენებელი მისი, რომ ფლოქვს ნალი ძლიერ უჭერს. საქმე რომ გასწორდეს, ლურსმის თავებსუნდა აშვება, ნელად აწევა ნალს ფლოქვის ძირიდგან და კოჭლობაც მორჩება.

ერთი ან ბევრი ლურსმები ამოვიდა მაღლა დანარჩენ ლურსმებზე შენიშნეთ რომ ცხენი ამ ფლოქვზე არ ეყრდნობა ან კოჭლობს, საფუძველია ვიფიქროთ, რომ ცხენი გლახათაა დაჭედილი. ამ შემთხვევაში გლახათ ჩარჭმულ ლურსმანს უნდა ამოღება და ხელ ახლა დაჭედვა ისე, რომ თავი ლურსმნის ამოვიდეს ძირს ვიდრე წინეთ იყო დაჭედილი.

გლეხის ცხენების დასაჭედათ ყველაზედ კარგია, ქარხანაში დამზადებული ნაყიდი ლურსმანი № 6,7 № 8 და 9,: დამოკიდებულია ფლოქვის სიდიდეზედ.

უნდა შევნიშნო, რომ ფშხვანადი, ნაპრალი ფლოქვი იჭედება წვრილ ლურსმანის (№ 5) მსხვილი ჩვეულებრივ ანაპრალებს ისედაც გლახა ფლოქვს; ცხენი ფართე, დიდი, ბრტყელი ფლოქვების ძირით იჭედება ფართე შტოიანი დიდი ირიბიანი ნალით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიძეძკვება,: ნალები ცხენის რომელიც უსისხლიანებენ ფეხს, არ უნდა იყვეს დიდი. წინა ნალებს, რომელსაც ჰხვდება უკანა ფეხის ნალები, ცხენის მოძრაობის დროს, არ უნდა სცდილობდეს უკანა კუთხეეს წინა ფლოქვისას და არ უნდა ჰქონდეს კბილი ნალს.

ზამთარში წინა ნალზე, გარე კბილი წვეტიანია, შიგნით კი რომ ავიცდინოთ დასისხლიანება ფეხის—ბლაგვია; ზამთარში ნალის კბილები სიმტკიცისათვის უნდა კეთდებოდეს ფოლადისაგან.

უკანასკნელ დროში იქმნა შემოღებული ხმარება ბუჩლიანი კბილისა, რომელიც იყიდება ყველა რკინის დუქნებში.

საუკეთესო რკინა ნალისათვის უნდა იყოს რბილი; შეხედულებით მოლურჯო, მსუბუქად დაფარული ჟანგით, ნამტვრევზედ მქრქალი, წვრილ მარცვლიანი, კარგად იხმარებოდეს—შედუღდებოდეს და ნახვრეტის გაკეთების დროს არ იპრწკალებოდეს,: თუ აიღებთ რკინას და რომელიმე ალაგას გადახეხავთ კბილიანი რკინით და ეცდებით ამ ალაგზე გადახეხოთ—ის უნდა იღუნებოდეს და მერმე ტყდებოდეს.

წინააღმდეგ რბილი რკინისა, მშრალი, ფიცხი ცუდად იჭედება—ფშხვანადი იმტვრევა, -ნამტვრევზე ბრჭყვიალაა და დიდმარცვლიანია; ასეთი რკინამ შეიძლება ივარგოს ნალებისთვის მხოლოდ კარგი შედუღების შედეგ.

ერთი ფუთი ძველი რკინისგან კეთდება 20 და 28 ნალი, იწვება რკინა 6 და 8 გირვანქა. ახალი რკინა იწვის 4—5 გირვანქამდე, ერთ ფუთ ძველ რკინაზედ იხარჯება 1 სამი მეოთხედი ფუთი ქვა ნახშირის. ახალ რკინაზე 1 ნახ. ფუთამდე.

ბეითალი ექიმი ი. ქუთათელაძე.

მეხილეობისათვის.

7.

ფოთლის ზედაპირი და ნორჩი ყლორტები დაიფარებიან ხოლმე ერთგვარ ავადმყოფობით ისე, თითქოს ზედ მტვერი შეგიყრიათო.

ამ ავადმყოფობისაგან, როგორც ფოთოლი ისე ნორჩი ტოტი მეტად ხუსტადა ვითარდება, იხუკება, იკუმშება და მაშასადამე ვერც თავის დანიშნულებას ასრულებს სათანადოთ, ამით ავადმყოფი ხე გვალვისაგან შეტრუსულივით გამოყურება და ყველა მებაღე—მეურნეს მაშინვე თვალში ეცემა. ამას ჩვენში, თითქმის ყველგან „ნაცარს“ ეძახიან და მეცნიერებაში კი ეწოდება ,,პოდოსპჰერა ლეუკოტრიხა‘‘. ეს პარაზიტი (პარაზიტი ეწოდება ყველა იმას, ვინც და რომელიც სხვის ხარჯზე იკვებება) ზამთარს ტოტებზე ატარებს და ზაფხულის განმავლობაში იწყებენ განვითარებას და ქარის საშუალებით გადადიან ფოთლებზე და იქ განაგრძობენ თავის მუშაობას და სწორედ ეს აძლევს ნაცრის ფერს ფოთოლს და ეს უსპობს სიცოცხლეს, როგორც ფოთოლს ისე ამდენიმე წლის განმავლობაში მთელ ხესაც. ამის საწინააღმდეგო წამალია ჯერ-ჯეროთ შაბიამანი. შემოდგომით ფოთლების დაცვენის შემდეგ, უნდა შეესხუროს შაბიამანის ხსნილი, რომელიც შეზავებულ უნდა იყვეს ერთ ვედრო წყალზე ერთი გირვანქა შაბიამნის ვარაუდით.

,,ვაშლის ჭია‘‘ ლათინურად ,,კარპოკაპსა პომონელა.‘‘ ყველას უნახავს ვაშლის ნაყოფში მოწითალო, ვარდისფერი ჭია, რომელსაც თექვსმეტი ფეხი აქვს. თვალსაჩინოა აგრეთვე მისგან მოყენებული ზარალიც და ამიტომ არ შევჩერდები აქ ამის შესახებ და მიუთითებ პირდაპირ საწინააღმდეგო ზომებზე. ყვავილის დაცვენა თუ არა ფურცელის, მაშინათვე უნდა ესხუროს პარიზის სიმწვანის ხსნილი, რომლის შესაზავების წესი წინა წერილებში იყო განმარტებული. ესევე ხსნილი უნდა ესხუროს ზაფხულის განმავლობაში სამჯერ ოთხჯერ მაინც.

ძირნაყარი ვაშლი უნდა აიკრიფოს ყოველთვის და გადატანილ იქმნას ბაღიდან, უნდა მოისპოს აუცილებლად. ნაყოფი თხილის ოდენა მაინც რომ გაჰხდება მაშინვე უნდა დამზადდეს საჭირო ქამრები ყოველ ხეზე და ყოველ ორის დღის შემდეგ მაინც უნდა გაიშინჯოს და გადათვალიერდეს, რათა შიგ მოგროვილი ჭიები მოსპოთ. ხილის მოკრეფის შემდეგ ხშირი გაშინჯვა საჭირო აღარ არის და პირველ თოვლის შემდეგ უნდა დაიხსნას და დაიწვას.

ამ პატარა წერილებში მე მიუთითებდი უმთავრესად ვაშლის ხის მტრებზე და ნურავის ეგონება, რომ მისი ავადმყოფობანი მარტო ამითა ამოიწურებოდეს. წინააღმდეგ, მისი მავნებელი მწერი თუ სხვა მეტად მრავალია და მათი ჩამოთვლა საგაზეთო წერილებში თითქმის შეუძლებელია.

საჭიროა თვით მეურნე ფხიზლად ადევნებდეს თვალყურს ბაღს და შენიშნავს თუ არა, რაიმე ახალს და თავისთვის უცნობს ავადმყოფობას ან მავნე მწერს, მყისვე უნდა მიიღოს შესაფერი ზომები, შეეკითხოს სადაც ჯერ არის რაიონის აგრონომებს, მიწადმოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო განყოფილებას და უნდა მოსთხოვოს შესაფერი განმარტება და რჩევა, მხოლოდ ეს იქნება თავდები იმისა, რომ მიზანი მიღწეულ იქმნება და ბაღი გადარჩენილი გადაშენებისაგან.

შემდეგ წერილებში მოკლეთ შევეხები სხვა მცენარეთა მავნე მწერებს და ავადმყოფობათ.

მებაღე.

,,სასოფლო გაზეთის‘‘ ფოსტა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამიმარტოთ, მინდა დავიწყო ფუტკრის მოშენება და გამრავლება, მაგრამ როგორც ყველა საქმისათვის საჭიროა შერჩევა ადგილ მდებარეობისა აქაც იქნება საჭირო და აუცილებელი და გთხოვთ ეს მაცნობოთ. როგორი ადგილი სჯობიან ფუტკრისათვის. აგრეთვე მაცნობებთ იშოვება წიგნები მეფუტკრეობის შესახებ და თუ იშოვება რა.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი
პეტრე კ—ია.

თქვენი წერილის საპასუხოთ ვბეჭდავთ ატ. წულაძის წიგნიდან მთელს თავს: ,,საფუტკრე ადგილის მიდამოს არჩევა‘‘. შიგ ჰპოვებთ პასუხს თქვენი კითხვისას და სხვა მხრივაც საგულისხმოა მეფუტკრისათვის.

ეს წიგნი საჭიროა, რომ იქონიოთ კიდეც, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო ახალ მეფუტკრისათვის ქართულ ენაზე.

არის აგრეთვე ,,საფუტკრის მოვლა‘‘ ედუარდ ბერტრანისა.

ორივე წიგნი იშოვება ქალაქ ტფილისში, შეგვატყობინოთ თქვენი დაწვრილებითი მისამართი და წიგნები ფასდადებით გამოგეგზავნებათ.

საფუტკრე ადგილის მიდამოს არჩევა.

საზოგადოთ... მეფუტკრეობას მისდევს: კერძო მესაკუთრე, ფუტკრების მოყვარული და მრეწველი.

პირველი ორი, საფუტკრე ადგილს არ არჩევს; კმაყოფილდება იმით, სადაც მისთვის მოხერხებულია.

მრეწველი მეფუტკრე კი ადგილის არჩევას უმთავრეს ყურადღებას აქცევს. მისთვის ისეთი საფუტკრეა საჭირო, რომელიც მისი სამრეწველო, ვაჭრული მეურნეობისათვის შესაფერი იქნება.

სამრეწველო მეფუტკრეობა შეიძლება ორგვარი იყოს. არის მრეწველი მეფუტკრე, რომელიც სულ იმის ცდაშია, რაკი სკების განსაზღვრული რიცხვი ჰყავს მერმე სულ თაფლი აკეთებინოს ის ნაყარს, ესე იგი ფუტკრის გამრავლებას აღარ მისდევს პირიქით იმის ცდაშია ფუტკარმა არ იყაროს და მით თაფლის შემოსავალმა არ იკლოს. არის მეორე მრეწველი ეგრეთ წოდებული ნაყრობის მიმდევარი ისიც, როგორც პირველი იმის ცდაშია, სკა ძლიერი ყავდეს და კარგი გამოკვებილი, მხოლოდ ამისი ცდა ის არის, ფუტკარმა რაც შეიძლება მეტი ნაყარი მისცეს. პირველს თუ თაფლის გაყიდვა დაუსახავს საფუტკრის შემოსავალის წყაროთ მეორე ჰყიდის ნაყარს და განაყოფიერებული დედას და მისი შემოსავალიც ეგ არის. მას თაფლი ფუტკრების გამოსაკვებათ სჭირია და არა გასაყიდათ, მაშასადამე მდარე თაფლითაც ხელი არ ეშლება. უხვ ღალიანი საფუტკრე ადგილი ორივესთვის კარგია—უხვი და ხანგრძლივი ღალიანობა ორივე გვარ შემოსავალს აძლიერებს პირველს მაინც განსაკუთრებით სჭირია საფუტკრის მიდამოს მთავარი ყურადღება მიაპყროს. ის უმთავრესად ისეთ ადგილს ეძებს, სადაც მიიღებს გასაყიდ თაფლს, ესე იგი, ისეთ თაფლს, რომელიც კარგს ფასში და ადრე გაიყიდება.

ასე თუ ისე ორივე უნდა ცდილობდნენ ვიდრე რომელიმე ადგილას სკებს დადგამდეს იქაურობას, განძრახული საფუტკრის არე მარეს კარგად გაეცნოს. მიდამოს არჩევა მეფუტკრისათვის საფუტკრის საძირკველის ჩაყრაა და რამდენადაც ეს საძირკველი მტკიცე იქნება, ზედ შენობაც მაგარი დაშენდება...

ზოგიერთს იმედი აქვს ხელოვნურად ყვავილების დათესვის, მაგრამ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს შეუძლებელია და არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა არ აქვს. ხელოვნურად მოშენებული ყვავილების დანდობა არა შემთხვევაში არ შეიძლება; ყველას სჯობია ბუნებისა და მისი სიუხვის მინდობა. თუ ვინმე ყვავილს დასთესს მას უნდა ჰქონდეს ორმაგი განზრახვა: უნდა მოაშენოს ისეთი ყვავილები, რომლებიც საქონლის საკვებადაც გამოდგება და ამ რიგად ორგვარ შემოსავალს მოგვცემს.

საფუტკრის მიდამოთ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ საფუტკრის ირგვლივ 3—5 ვერსის მანძილი, რადგან ფუტკრებს ამ მანძილზე ფრენა და სკაში ღალის მოტანა თამამად შეუძლიანთ. ცხადია რაც ახლო ექნება ღალი, მით უკეთესია. რადგან დღიურათ ფუტკარი ღალისთვის მეტი გზობა მივამოვა, ღალის მოტანის მეტ „ტალიას“ ჩაიგდებს. როცა მეფუტკრე საფუტკრე ადგილს კარგად გაიცნობს, უნდა გაიგოს თაფლოვანი მცენარეები უხვათ არის თუ არა, როდის იწყებენ აყვავებას და როდის თავდება ღალიანობა, ჰავა როგორია, ხომ არ იცის ქარი, ხშირი წვიმები ან გვალვა. რამდენ ხანს გასტანს ზამთარი და ხომ არ იცის სასტიკი ყინვები. როდის იწყება გაზაფხული და სხვა. კარგათ უნდა გაიგოს ადგილობრივი თაფლოვანი მცენარეთა ყვავილი როგორი ღირსების არის, ციბრუტაზე თუ შეიძლება დალევა.

საჭიროთ მიმაჩნია მოვიხსენიო, რომ ჯერ-ჯერობით კარგს ფასებში იყიდება ციბრუტაზე დაცლილი თაფლი, ფერად თეთრი, ანკარა, სასიამოვნო გემოსი და მასთან სურნელოვანი. ასეთი თაფლი პირველ ღირსებისათ ითვლება, მოთხოვნილებაც დიდი აქვს. მრეწველისთვის დიდი საჭიროა გაიგოს ახლოს ყავს თუ არა ვინმეს ფუტკარი. რანაირ სკებში ჰყავს და შემოსავალს რამდენს აძლევს—უკეთუ მეზობელ მეფუტკრეს ფუტკარი ადამისეულ კოდებსა და როფებში ჰყავს და ერთი მეორეზე თითეული სკა 8—10 გირ. თაფლს აძლევს ეს იმის თავდებია, რომ იმ ადგილას თამამად შეიძლება მეფუტკრეობის დაწყება. ცხადია გონივრული მოვლით, ჩარჩოიან სკებში შემოსავალი ერთი ოთხად იმატებს. ძლიერ კარგად უნდა გაიგოს რა მდგომარეობაშია მახლობელი საფუტკრე; მეზობლის ფუტკარს ხომ არ სჭირს საშიშარი სენი სიმყაყე? იყო წინათ ამ ადგილას საფუტკრე თუ არა? თუ იყო რა მიზეზით ადაშენებულა და სხვა.

ვიმეორებ საფუტკრის არჩევის დროს ფუტკრების ავადმყოფობა სიმყაყეს მეფუტკრე დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრას, რადგან შეიძლება მახლობელი საფუტკრის ავადმყოფობამ (ან ძველმა ამ სენით გადაშენებულმა საფუტკრემ) მისი საფუტკრეც იმსხვერპლოს. საზოგადოთ საეჭვო ადგილას საფუტკრის გაშენებას ყოველთვის უნდა ერიდოთ.

ჩვენი ქვეყნის საუცხოვო სამხრეთის, ზომიერი ბუნება, თაფლოვანი ბალახების და მცენარეების სიუხვე, ფუტკრის მოხერხებული მთა—ბარობა და სხვა დიდათ უწყობს ხელს მეფუტკრეობას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფუტკრეობა შეიძლება ყველგან და ყველასაგან. მართალია ყველგან ერთნაირი სიუხვით და ერთ ნაირი ღირსების თაფლით არ დააჯილდოებს მომვლელს ფუტკარი, მაგრამ ხეირიანი, გონივრული, ანგარიშიანი, მუყაითი მოვლით ზარალს არავის არ უჩვენებს.

ზოგჯერ ადამისეული სკების პატრონიც უხვად იწევს თაფლს, მაგრამ ეს შემთხვევითია; მით უფრო მართებს ასეთი მეფუტკრე ცოდნით შეიარაღდეს, საფუტკრე კარგად მოაწყოს, ფუტკარს ხელი არ მიაკლოს და მით მუდმივი შემოსავალი გაიჩინოს.

საფუტკრე ადგილის მიდამოთ ყველაზე უკეთესია მთის ხეობა სოფლის ახლოს. რადგან ფუტკრები იოლათ ისარგებლებენ სოფლის სათიბებით, მინდვრისა და ტყის თაფლოვანი ბალახებით, ბაღნარ-ბოსტნეულის ყვავილებით. ასეთ მოხერხებულ ადგილას თუ საფუტკრე გვექნება წესიერის მოვლით ფუტკრებს გაზაფხულის ღალა დაეხარჯებათ ბარტყების აღზდაზე; საშემოდგომოთ მომვლელის ჯილდოთ დარჩება მთის თაფლი, რომელიც კარგათ ჩაშაქრდება და კოგ ფასში გაიყიდება, მთის ხეობაში საფუტკრის გამართვა კიდევ მითია სასარგებლო, რადგან ფუტკრები ერთი და იგივე ჯურის მცენარის ყვავილით ორსამჯერ ისარგებლებენ, სამზეურისა და ადგილ მდებარეობის სიმაღლ—სიდაბლის მიხედვით ყველა ერთბაშათ არ აყვავდება, რადგან ყველას მზე ერთბაშათ არ გამოიტყუებს. მაშასადამე ზოგი რომ მოიყვავილებს, ზოგი კი მისივე ჯურის, ყვავილში იქნება. ძლიერ სასურველი და სასარგებლოა თუ საფუტკრის დასამხაოად არის ველიანი ტყე—მეტადრე თუ შიგ საქონლის საძოვარი არ არის. აქა იქ საყანეთ გაკაფულმა ველიანმა ტყემ უხვათ იცის მშვენიერია თაფლოვანი ყვავილები.

ბევრს შეცდომით ჰგონია ვითომც ულრანი, უტეხი, დაბურული ტყე საფუტკრეთ კარგი იყოს, ულრანი ტყე არ ვარგა საფუტკრეთ, რადგან ასეთმა ტყემ თაფლოვანი ბალახები არ იცის, და რაც შიგ ყვავილი არის, ისიც ნექტარს არ უშვებს, რადგან მზისაგან გაცხოველებული არ არის. ტყე თუ მარტო ცაცხვის ხისაგან შესდგება მხოლოდ მაშინ ვარგა. საფუტკრეთ ყველაზედ უკეთესია სათიბი და მინდვრის ყვავილები. ასეთ ადგილას გამართული საფუტკრე შემოსავლის მხრით დაზღვეულათ ითქმის. ცხადია თუ სათიბი და ყვავილოვანი მინდორ—ველი საკმაო სივრცეზეა გადაჭიმული და საქონლის საძოვრათ არ არის გამხდარი.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო

ბეითალ-ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს, ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვკურნავ ,,ნე მანის და ვესსელის‘‘ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოო ტეხნიაზე‘‘ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 საათ.

14—1.

ბელინსკის ქუჩა, № 39, ბინა 2.